საქმე №3ბ/2429-10

# სასამართლო სხდომის
# ო ქ მ ი

29 დეკემბერი 2010 წელი ქ. თბილისი

## თბილისის სააპელაციო სასამართლო
## ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
## შემადგენლობა

თავმჯდომარე, მომხსენებელი – ქეთევან დუგლაძე

მოსამართლეები – ლეილა მამულაშვილი

მერაბ ლომიძე

სხდომის მდივანი: მიხეილ კირვალიძე

**აპელანტი** – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"

**მოწინააღმდეგე მხარე** – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

**მესამე პირები** – საქართველოს მთავრობა, ქ. თბილისის მთავრობა, შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი" უფლებამონაცვლე შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი".

**დავის საგანი** – საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე შპს „რუსთავწყალკანალის", შპს „მცხეთის წყალკანალის", შპს „საქწყალკანალის", შპს „თბილისის წყალი"-ს 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმება №1-ის განსაიდუმლოება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის მისი, როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილება.

სხდომა გაიხსნა 09:50 სთ–ზე. სხდომა დაიხურა 10:00 სთ-ზე

სასამართლო შემადგენლობა შემოდის სხდომის დარბაზში.
სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.
სხდომის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სხდომის მდივანს პროცესის მხარეების შესახებ მოსახსენებლად.
სხდომის მდივანი მოახსენებს –
**გადაწყვეტილების გამოცხადებაზე მხარეები არ გამოცხადდნენ:**

**აპელანტი** – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ არ გამოცხადდა

**მოწინააღმდეგე მხარე** – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ გამოცხადდა

**მესამე პირები** – ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი ხალომე ბარბაქაძე საქართველოს მთავრობა არ გამოცხადდა, , შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი“ უფლებამონაცვლე შპს „მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი“ არ გამოცხადდა

თავმჯდომარე აცხადებს მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილს და განმარტავს მისი გასაჩივრების წესსა და ვადას.
მოსამართლე ასევე განმარტავს სხდომის ოქმის გაცნობის და მასზე შენიშვნების შეტანის წესსა და ვადას.

სხდომა დაიხურა: 10სთ-ზე და 00წთ-ზე.

სხდომის თავმჯდომარე
ქეთევან დუგლაძე

სხდომის მდივანი
მიხეილ კირვალიძე